10 დეკემბერი, 2020

#1: საქართველოს მთავრობის შემოჭერილი ქამრები: რა ღირს საარჩევნო ლოიალობა?



მაშინ როდესაც ქვეყანაში:

- საგანგებო მდგომარეობაა,
- იზრდება სიღარიბის მაჩვენებელი,
- ღატაკდება მოსახლეობა,
- ბიზნესი გაჩერებულია,
- ათასობით ადამიანი უმუშევრად დარჩენილია,
- იზრდება ინფიცირების მასშტაბი,
- პანდემიის შედეგად იღუპებიან ადამიანები,

ხელისუფლების პასუხია:

- თვითდათხოვნაში მყოფი პარლამენტი,
- მთავრობის და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გაფლანგული ბიუჯეტი,
- გაყალბებული არჩევნები,
- მდუმარე პრეზიდენტი.

„სამოქალაქო იდეა“
ყველა დაინტერესებულ პირს, დღეიდან პერიოდულად შემოგთავაზებთ ჩვენი კვლევის შედეგებს იმაზე, თუ პანდემიის პირობებში:

- რა დაგვიჯდა ქართული ოცნების მიერ, საარჩევნოდ, სხვადასხვა ჯგუფების ლოიალობის ყიდვა;
- როგორ ვერ შეძლეს პოლიტიკური თანამდებობის პირობმა უარი ერქვათ ბიუჯეტის ხარჯზე მოპოვებულ კომფორტზე;
- როგორ ვერ შეძლო ხელისუფლებამ მთლიანი ადმინისტრაციული რესურსი, სწორედ პანდემიასთან ბრძოლის სამსახურში ჩაეყენებინა, ნაცვლად პარტიული ლოიალობის შენებისა;
- მიუხედავად ვითარების უკიდურესი დრამატულობისა, როგორ აქვს არეული საქართველოს მთავრობას მთავარი და მეორეხარისხოვანი.

<u>დასაწყისშივე უნდა ითქვას, მიუხედავად პანდემიისა, ბიუჯეტიდან ფული იხარჯებოდა ზუსტად ისევე, როგორც ყოველთვის, ყველა არჩევნების წინ</u>

დარწმუნებული ვართ, ყველა იღებთ მთავრობის შეტყობინებებს, სადაც გვიყვებიან რომ ყველაფერს აკეთებენ პანდემიით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების შესამსუბუქებლად. იმავდროულად, იქმნება ანგარიშის ჩაბარების ილუზიაც იმ თანხების შესახებ, რომელიც სწორედ კოვიდით გამოწვეული კრიზისის დაძლევისკენ წარიმართება.

ჩვენ გაჩვენებთ, რომ არსებული ბიუჯეტის პირობებში, დამატებითი სახსრების მობილიზების გარეშეც, <u>მთავრობას გაცილებით დიდი და უფრო ფუნდამენტური დახმარების პაკეტი შეეძლო შეეთავაზებინა მოქალაქეების და ბიზნესისთვის</u>:

- სწორი დაგეგმვის,
- ეფექტური მენეჯმენტის,
- არასაჭირო და კრიზისიდან გამომდინარე მეორადად ქცეულ ხარჯებზე უარის თქმის,
- და რაც მთავარია საკუთარი, ვიწრო პარტიული საარჩევნო მიზნებისთვის ბიუჯეტის ხარჯვაზე უარის თქმის შემთხვევაში.

დასაწყისშივე უნდა ავღნიშნოთ, ჩვენი კვლევა მთლიანად დაფუძნებულია საჯარო სივრცეში ხელმისაწვდომ გამოცხადებული ტენდერების მონაცემების კვლევაზე და ის ამჟამად არ მოიცავს, ისეთ მსხვილ ხარჯებს, როგორიც არის ხელფასები და პრემია-დანამატები, ბენზინის და სატრანსპორტო ხარჯები და სხვა. გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ამ კონკრეტულ საბიუჯეტო კატეგორიებში განსაკუთრებით დიდი პრობლემები გვხვდება, თუმცა ვინაიდან სახელმწიფო დაწესებულებები დისტანციურ რეჟიმში მუშაობენ და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის ნებისმიერ განაცხადს წარმოუდგენელი სირთულეები ხვდება, გადავწყვიტეთ პირველ ეტაპზე შემოგთავაზოთ ის ხარჯები, რომელიც საჯაროდ, პროაქტიულად ხელმისაწვდომია სხვადასხვა ვებ რესურსებით და სახელმწიფო უწყებების დამატებით ჩართულობას არ მოითხოვს.

გარდა იმისა, რომ ქვეყნაში, მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მსგავსად, პანდემია მძვინვარებს, 2020 საარჩევნო წელი იყო და შესაბამისად, როგორც პრაქტიკა გვაჩვენებს სწორედ საარჩევნო წელს ჩნდება ხოლმე ბიუჯეტში მანამდე გაუთვალისწინებელი სპეციფიური ხარჯები. აქ, ბუნებრივია, არ ვგულისხმობთ საარჩევნო კომისიების მიერ გაწეული საქმიანობის ანაზღაურებას, საარჩევნო უბნების მოწყობასა თუ ბიულეტინების ბეჭდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ჩვენი კვლევის ამოცანებისთვის განსაკუთრებით ყურადსაღები იყო ის ხარჯები, რომელიც ტენდერების

ოფიციალურ ვებ გვერდებზე ჩანს და საშუალებას გვაძლევს სპეცი-ფიურად ვიმსჯელოთ საარჩევნო მიზნებისთვის ე.წ. ადმინისტრაციული რესურსების, ანუ საბიუჯეტო რესურსების გამოყენების შესახებ ერთი კონკრეტული პარტიის სასარგებლოდ.

ამბობენ, ბიუჯეტი სახელმწიფოს სარკეაო. ამ სარკეში საუკეთესოდ აირეკლება ყველა ის ხარვეზი თუ ნაკლოვანება, რომელიც მმართვე-ლობაში ჩნდება. ეს ხარვეზები ხან-დახან უბრალო შეცდომებია, ხანდა-ხან პირდარი, პირადი გამდიდრების მიზნით ჩადენილი კორუფციული სისხლის სამართლის დანაშაული, მაგრამ რიგ შემთხვე-ვაში კონკრე-ტულად ერთი პარტიის საარჩევნო ამოცანებს ემსახურება და შესაბა-მისად, ქვეყნის დეკლარირებულ, დემოკრატიული მმართვე-ლობის სისტემასთან წინააღმდეგობაშია.

2020 წელი, სხვა საარჩევნო წლებისგან განსხვავებული იყო სწო-რედ პანდემიის გამო, ვინაიდან თუკი სხვა შემთხვევაში, ბიუჯეტიდან მმართველი პარტიის სასარგებლოდ მიმართული 10-20 მილიონი შესაძ-ლოა შეუმჩნეველი დარჩენილიყო, 2020 წელს ყოველი დახარჯული თეთრი და ლარი პირდაპირი მნიშვნელობით სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და შესაბამისად, განსაკუთრებულ მონიტორიგსა და ანგარიშგებას ექვემდებარება. აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ის ვისაც, ქვეყნის კონსტიტუციის შე-საბასად, ეს მონიტორინგი და მთავ-რობის ანგარიშვალდებულება უნდა უზრუნველეყო, საქართველოს პარლამენტია, რომელმაც გაზაფ-ხულზევე, კოვიდ-19-ის შემთხვევების საქართველოში დადასტურებისანავე, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას დაუჭირა მხარი და მუდმივი შეკრების, ნათელი კონსტი-ტუციური ვალდებულების მიუხედა-ვად, თვითდათხოვნაში წავიდა. შემ-დეგ კი, მხოლოდ იმისთვის შეიკრი-ბა, რომ მოეხსნა პასუხისმგებლობა და საკუთარი უფლებამოსილებები სრულად გადაეცა პრემიერ მინისტრისა და მთავრობისთვის.

ამ ხნის მანძილზე, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან 10 თვის შემდეგ, არც პარლამენტის პლენარულ სხდომებზე და არც საკომიტეტო განხილვებისას არ ყოფილა:

- არც ერთი შემთხვევა, ჩვენი წარ-მომადგენლების საბიუჯეტო ხარ-ჯების ეფექტური და მიზანმიმარ-თული ხარჯვის უზრუნველყოფით დაინტერესების;
- არც ერთი მოსმენა ფინანსთა, ეკონომიკის, ჯანდაცვის, განათ-ლების ან სხვა მინისტრების

ძალიან კონკრეტული, ქვეყნისა და მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებებით გაწეული საქმიანობის ან დაგეგმი-ლი ღონისძიებების შესახებ.

მაგალითად, მაშინ როდესაც ქვეყანა სრულიად მოუმზადებელი იყო როგორც ტექნიკურად, ასევე სპეციალური სასწავლო პროგრამებ-ის არ არსებობის გამო, ათიათასობ-ით პედაგოგს ონლაინ რეჟიმში მოუ-წია სასწავლო პროცესის წარმარ-თვა. ნებისმიერ, განსაკუთრებით საპარლამენტი მმართველობის, ქვე-ყანაში თვეში ორჯერ მაინც მოუსმე-ნდნენ პარლამენტში განათლების მინისტრის, იმის გასარკვევად, თუ რა ნაბიჯები იდგმება:

- პედაგოგების გადამზადებისთვის,
- პედაგოგების კომპუტერებით უზრუნველსაყოფად,
- ინტერნეტის მთელი ქვეყნის მას-შტაბით მიწოდებისა და გამარ-თული ფუნქციონირებისთვის,
- მუდმივი კვლევების საწარმოებლად მოსაწავლეებსა და მშობლებში ონლაინ სწავლების დროს ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენის მიზნით და სხვა.

„შეკითხვები მინისტრს" მხოლოდ ერთი მაგალითია, იმ საქმიანობისა, რომელიც 10 თვის განმავლობაში პარლამენტის ყოველდღიურობა უნ-და ყოფილიყო ერთი მხრივ, მთავ-რობის საქმიანობის მუდმივი კონ-ტროლისთვის, ვინაიდან, როგორც წესი, საგანგებო წესების მოქმედე-ბისას უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ალბათობა იზრდება, და მეორე მხრივ, ყველა იმ დაუ-ყოვნებელი საკანონმდებლო ცვლილების მისაღებად, რომელიც პროცესის ეფექტურ მართვას შეუწ-ყობდა ხელს.

ისევ განათლების სისტემის მაგალითი რომ მოვიყვანოთ, ქვეყანა ისე გადავიდა ონლაინ სწავლებაზე რომ კანონმდებლობით მსგავსი შესაძლებლობა არც კი არსებობდა. დღესაც, ამ სისტემის მეტნაკლები წარმატებით მუშაობის 10 თვის თავზე თითქმის ისეთივე სიცარიელე გვაქვს საკანონმდებლო თვალსაზრისით როგორც 2020 წლის მარტში.

თუკი პარლამენტი დაინტერესდე-ბოდა პანდემიის დროს საბიუჯეტო შემოსავლების განაწილებისა და ხარჯვის დინამიკით აუცილებლად აღმოაჩენდა, რომ უწყებების დიდი ნაწილი ზუსტად ისევე აგრძელებდა ხარჯვას და საქმიანობას როგორც მანამდე, ყოველგვარი შეზღუდვებისა და საგანგებოობის ამოცანებისთვის რესურსების დაზოგვის გარეშე. თუმცა, ვინაიდან 2020 სწორედ

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები და ადმინისტაციული რესურსების გამოყენება

მათი, პარლამენტის წევრების საარ-ჩევნო წელია, არც არის გასაკვირი სრული დუმილი საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან.

საქართველოში, მუდამ ასე იყო, მადლიერი საჯარო მოხელეები და საზოგადოების კონკრეტული ჯგუფები, მაგალითად სპორტსმენები, მმართველი პარტიის გამარჯვების უზრუნველყოფის ერთადერთი ბერკეტია. შესაბამისად, საარჩევნო წელს განსაკურებულ მნიშვნელობას იძენს მათი მომადლიერება.

იმის მიხედვით, თუ რამდენად უჭირს საარჩევნოდ მმართველ ძალას, სპეციფიური ხარჯების ოდენობდა და ინტენსივობაც ხან მეტია და ხან ნაკლები, მაგრამ როგორც წესი მუდმივი კონსტანტაა.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, სხვა დარღვევებ-თან ერთად, ოპოზიციური პარტიების კრიტიკის დიდი ნაწილი მიმართუ-ლი იყო საარჩევნო პროცესში ძა-ლადობის, ზეწოლისა და ამომრჩევ-ლის ნებაზე უკანონო გავლენისთვის სპორტსმენების გამოყენების ფაქტებზე.

ოპოზიციური პარტიების გარდა, სპორტსმენების აქტიურობის შესახებ იუწყებოდა მედია და არჩევნების დამკვირვებელი არასამთავრობო ორგანიზაციებიც. გაჩნდა ამგვარი შემთხვევების დამადასტურებელი მრავალობითი ვიდეო და ფოტო მასალა.

გადავწყვიტეთ, მოგვეკვლია რა დაგვიჯდა ჩვენ, გადასახადის გადამ-ხდელ ამომრჩევლებს, ჩვენსავე ნებაზე ძალადობა და რამდენად შეიძლება იყიდო საქართველოში სპორტსმენების ლოიალობა.

ტენდერების გზით გაწეული საბიუჯეტო ხარჯების კვლევა გვაჩვენებს, რომ 2020 წლის აგვისტო-ოქტომბერის თვეებში, როდესაც საარჩევნო კამპანია და

შესაბამისად, პარტიული შეხვედრები იწყებოდა მთელი საქართველოს მასშტაბით უპრეცედენტოდ გაიზარდა და სრულიად ახალი ხარჯები გაჩნდა:

- სპორტული ღონისძიებების,
- სპორტული ინვენტარის,
- სპორტული შენობა-ნაგებობების,
- ფეხბურთის მოედნებისა და აღჭურვილობის,
- ფიტნესის და სხვადასხვა ტიპის ტრენაჟორების,
- ჭიდაობის და ძიუდოს ჩოხების,
- სამოყვარულო ტურნირების, და სხვა ათასი მსგავსი ღონისძიების დაფინანსების სახით.

დაფინანსებამ ერთიორად იმატა აგვისტოში, ხოლო ოქტომბერში განსაკუთრებით მაღალ მაჩვენე-ბელს მიაღწია. ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ტენდერებით, პანდემი-ის დროს, სპორტული სამყაროს ლოიალობის უზრუნველსაყოფად დაიხარჯა დაახლოებით 13 მილიონ 800 ათასი ლარი.



ჩვენი გამოცდილება გვაჩვენებს, რომ მსგავის ანგარიშებისა და მონაცემების გამოქვეყნების დროს, როგორც წესი, ხელისუფლების მთავარი არგუმენტია ხარჯვის იდენტურობა. ისინი ამბობენ, რომ მხოლოდ ერთი წლის მონაცემების გამოტანას შეცდომაში შეყავს მკითხველი, ვინაიდან მათ არ იციან რას შეადარონ. შესაბამისად, გაუგებარი ხდები რიცხვების არსი.

სწორედ ამ არგუმენტის გამოსარიცხად, გთავაზობთ, ერთერთი ყველაზე დიდი მხარჯველის, თბილისის მერიის მიერ, როგორც 'ქართული ოცნების', ასევე 'ნაციონალური მოძრაობის' მმართველობის პერიოდში, დახარჯული რესურსების შესახებ ინფორმაციას წლების მიხედვით.

წინამდებარე გრაფიკი ნათლად აჩვენებს სხვაობას საარჩევნო და არასაარჩევნო წლებს შორის. გრაფიკზე კარგად ჩანს, როგორ ქრება საჭიროებები და შესაბამისად ხარჯებიც არა საარჩევნო წლებში, და შემდეგ როგორ სასწაულებრივად ბრუნდება საარჩევნო წლებში. თუკი მაგალითად 2011 ან 2015 წელს სპორტული ღონისძიებების ხარჯები შეადგენდა „0" ლარს, ხოლო 2013 წელს სრულიად მინიმალური იყო (16,500 ლარი), ვხედავთ რომ საარჩევნო წლებში ეს ხარჯები რამდენიმე ასეულ ათასობით ლარამდე იზრდება.

სამოქალაქო იდეა,
კვლავაც შემოგთავაზებთ, ჩვენი კვლევის არანაკლებ საინტერესო შედეგებს, მოკვლეულ ფაქტებსა და სრულ ინფორმციას:

- გაფლანგული საბიუჯეტო რესურსების,
- არამიზნობრივი ხარვის,
- პარტიული და საარჩევნო ინტერესებისთვის საბიუჯეტო რესურსების გამოყენების
- ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების

და სხვა მსგავს შემთხვევებზე.

გამოგვყევით facebook-ზე
ან ეწვიეთ ჩვენს ჩვენს ვებ გვერდს:
HTTPS://CIVICIDEA.GE

HTTPS://WWW.FACEBOOK.COM/GEORGIANCIVICIDEA

HTTPS://WWW.LINKEDIN.COM/COMPANY/CIVIC-IDEA/

კვლევაში მოცემული ინფორმაციით დაინტერესების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

ტელ: 995 322 000313
იმეილი: civicidea@gmail.com